განკარგულება:**გ-87. 8724122001**
თარიღი:**01/05/2024**

განკარგულება №28

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მარაგების სახით არსებული მეორადი ლითონის (ჯართი) განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით, 30%-იანი ფასდაკლებით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, 62 მუხლის პირველი პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და 38-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მარაგების სახით არსებული სავარაუდოდ 10 ტონა მეორადი ლითონის (ჯართი)** განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით, 30%-იანი ფასდაკლებით პრივატიზებისას:

ა) 1 (ერთი) კილოგრამი მეორადი ლითონის (ჯართის) საწყისი საპრივატიზებო

საფასური - 0.42 (ორმოცდაორი) თეთრის ოდენობით;

ბ) „ბე“-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა - საწყისი

საპრივატიზებო საფასურის 30%-ით - 1260 (ერთიათასორასსამოცი) ლარის

ოდენობით;

გ) ელექტრონული აუქციონის ბიჯის ოდენობა - საწყისი საპრივატიზებო

საფასურის 10%-ით - 0,042 თეთრი;

დ) საპრივატიზებო პირობა:

- აუქციონის ბე-ს თანხა გათვალისწინებულია ჯართის მთლიან სავარაუდო ოდენობაზე.
- აუქციონის ბიჯის ოდენობა გათვალისწინებულია 1 კგ მეორადი ლითონის ღირებულებაზე.
- საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება საბოლოო მოცულობის დადგენის შემდეგ.

2. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქუჩა №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი